მზია გოგიაშვილი, მამუკა გიგინეიშვილი, ნუგზარ შენგელია, ქეთი შენგელია, ხათუნა ძიგუა

ტოკათის გაზიოსმანფაშას უნივერსიტეტი, თურქეთი

Erasmus+-ის პროგრამის ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის თურქული ენის კათედრის ხელმძღვანელმა მზია გოგიაშვილმა, წარმომადგენლებმა ლოგისტიკის და უსაფრთხოების დეპარტამენტიდან მამუკა გიგინეიშვილმა და ნუგზარ შენგელიამ, ასევე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ქეთი შენგელიამ და ბიბლიოთეკარმა ხათუნა ძიგუამ, მიიღეს მონაწილეობა როგორც ადმინისტრაციულ, ასევე კულტურულ და საგანმანათლებლო აქტივობებში, რომელიც გაიმართა ტოკათის გაზიოსმანფაშას უნივერსიტეტში, თურქეთი.

პროგრამის ფარგლებში მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ ქალაქის ისტორიას და მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა კულტურულ აქტივობებში. ასევე, შესაძლებლობა ჰქონდათ მოენახულებინათ ტოკათის მახლობლად მდებარე ბალიკას მღვიმე, რომელიც შესულია იუნესკოს ძეგლთა დაცვის სიაში. პროგრამის მონაწილეებმა როგორც მასპინძლებს, ასევე კოლეგებს სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებიდან, გააცნეს ინფორმაცია კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ და გაცვალეს იდეები სამომავლო პარტნიორობასთან დაკავშირებით. მათ ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ მომწვევი უნივერსიტეტის სასწავლო პროცესს და მოენახულებინათ ფაკულტეტების და დეპარტამენტების სამუშაო პროცესი.

ამ ვიზიტის მიზანი იყო საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში მონაწილე უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება და თანამშრომლობის გაღრმავება. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად აზიარებდნენ ინფორმაციას უნივერსიტეტების შესახებ და განიხილავდნენ სამომავლო პროექტებს, საგანმანათლებლო სისტემებსა და ინსტიტუციურ სპეციფიკებს, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესებას.